სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 81

2022 წლის 16 მაისი

ქ. თბილისი

„2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის N56 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულის კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ფ“ ქვეპუნქტების, ინფორმატიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის საქართველოს ნაკრები გუნდის ლიდერის სამსახურებრივი ბარათისა (N461912, 10.05.2022) და ფიზიკის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის საქართველოს ნაკრები გუნდის ლიდერის სამსახურებრივი ბარათის (N484410, 10.05.2022) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 11 აპრილის N56 ბრძანებით დამტკიცებულ „2022 წლის საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრების შერჩევის, მომზადებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის ადმინისტრირების პროცედურები და პირობები“ დანართ №1-ის

005839

(შემდგომში - დანართი №1) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) ფიზიკაში საქართველოს ნაკრები გუნდი წარდგება ფიზიკის 52–ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, IPhO 2022 (შვეიცარია, 10-17 ივლისი, (ონლაინ ფორმატი);“

2. შევიდეს ცვლილება დანართ №1-ის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დ) ინფორმატიკა:

დ.ა) პირველი ტური - 2022 წლის 21 მაისი

დ.ბ) მეორე ტური - 2022 წლის 22 მაისი.“

3. შევიდეს ცვლილება დანართ №1-ის მე-13 მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში და აღნიშნული პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„4. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, მათემატიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 2022 წლის 4 ივნისს და დაასრულებს 2022 წლის 25 ივნისს თბილისში, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 3 ივლისის ჩათვლით.

5. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ფიზიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 2022 წლის 4 ივნისს და დაასრულებს 2022 წლის 25 ივნისს თბილისში, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 3 ივლისის ჩათვლით.

6. საქართველოს ნაკრები გუნდი, რეზერვისტებთან ერთად, ინფორმატიკაში მომზადების პირველ ეტაპს დაიწყებს 2022 წლის 11 ივნისს და დაასრულებს 2022 წლის 25 ივნისს თბილისში, მეორე ეტაპი - შეკრება ქალაქგარეთ გაიმართება მხოლოდ ნაკრები გუნდის წევრებისთვის 2022 წლის 27 ივნისიდან 2022 წლის 3 ივლისის ჩათვლით; შემდგომ გააგრძელებს მომზადებას თბილისში 2022 წლის 29 ივლისს და დაასრულებს 2022 წლის 4 აგვისტოს.“

4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.“

5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი